ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №751205

ნომერი: AR1139679

თარიღი : 17.06.2013

გაცემის თარიღი : 20.06.2013

გაცნობის თარიღი : 24.06.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მეტროსადგურ "დიდუბის" მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დომენტი ფანჩულიძე პ/ნ 01007008699
- თბილისი ალ.მირცხულავას ქ. N 16 ბ. 26

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

აბრის მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი განცხადება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – დიდუბე, მეტროსადგურ "დიდუბის" მიმდებარედ, ს.ს. "დიდუბის ავტოვაგზალი"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი #051/011), არსებული შენობა–ნაგებობის ფასადზე აბრის მოწყობას, პასუხად გაცნობებთ, რომ "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლში საქართველოს მთავრობის 2011 წლის 12 აგვისტოს #315 დადგენილებით შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან #882013279649 17.06.13წ. საკადასტრო კოდი #01.13.03.051.011; საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – დიდუბე, მეტროსადგურ "დიდუბის" მიმდებარედ, ს.ს. "დიდუბის ავტოვაგზალი"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი #051/011), არსებული შენობა–ნაგებობის ფასადზე აბრის მოწყობის შესაძლებლობას.

---

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.